



**საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს
სსიპ საგანმანათლებლო დანახარებების მანდატურის სამსახური**

ბრძანება № 13

12.02.2019

ქ. თბილისი

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 36-ე მუხლის, „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილების მე-5 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 20 აგვისტოს N74/6 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის დებულების“ მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე და სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის უფროსის 2019 წლის 12 თებერვლის NI/კ-14 ბრძანების გათვალისწინებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე, მათ შორის, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ადმინისტრაციული სამმართველოს უფროსი სოფიო აბულაშვილი;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის უფროსის 2018 წლის 07 ნოემბრის N29 ბრძანება „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ“;
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დიმიტრი უზნაძის N52) ან/და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., N6);

გელა გელაძე
სამსახურის უფროსი